საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის

გვარი, სახელი : ლია გოგსაძე

პირადი №: 01027000078

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ბაფის წევრი, სურვილი მაქვს დავრეგისტრირდე ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად როგორც აუდიტორული ფირმის სეგმენტის წარმომადგენელი.

განცხადებას თან ერთვის:

- პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ბაფის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ
- რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და აუდიტორული ფირმის წარმომადგენლის შემთხვევაში)

ხელმოწერა:

თარიღი: 21.12.2022

## ლია გოგსაძე

## საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრად არჩევის კანდიდატის სამოტივაციო წერილი



დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტი, მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობით. 1999 წელს მივიღე პროფესიონალი ბუღალტრის წოდება. 2010 წელს დავამთავრე ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც ეფუძნება ACCA პროგრამას.

ვმუშაობდი სხვადასხვა კომპანიებში ფინანსურ მენეჯერად, მთავარ ბუღალტრად, საგადასახადო ექსპერტად, აუდიტორად, აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართვე-ლოს უფროსად. მაქვს 30-წლიანი პროფესიული გამოცდილება.

2000 წლიდან დღემდე ვმუშაობ "პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტში" პროფესიული გადამზადების ფაკულტეტის ლექტორად მოდულებში F3 "ფინანსური აღრიცხვა", F7 "ფინანსური ანგარიშგება", F8 "აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება".

მაქვს ევროპელი და ამერიკელი დონორების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება.

2000 წელს ვკითხულობდი ლექციებს „საგადასახადო ინსპექციის მოხელეთა გადამზადების" პროექტში.

2003, 2008, 2019 და 2022 წლებში მიწვეული ვიყავი USAID- ისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ „ACCA-ის წიგნების თარგმანისა და სერტიფიცირების განვითარების" პროგრამაში მოდულების თარჯიმნად და ექსპერტად.

2005 წელს, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ „კონტროლის პალატის მოხელეთა გადამზადების" პროექტში ვკითხულობდი ლექციებს.

2022 წელს მიწვეული ვიყავი ლექტორად მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტში „უნივერსიტეტის ლექტორების ტრენინგები პროფესიული სერტიფიცი-რების პროგრამის (ACCA) სწავლების მეთოდოლოგიაში".

ბაფის სახელით მონაწილეობა მაქვს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიების განვითარების საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესში.

2000 წლიდან ვარ ბაფის ნამდვილი წევრი და ორჯერ ვიყავი არჩეული ბაფის გამგეობის წევრად.

მაქვს სურვილი კვლავ გავხდე საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და აქტიური მონაწილეობა მივიღო იმ მნიშვნელოვან საქმეში რაც აუცილებელია:

ჩვენი პროფესიის განვითარების,

ახალი პროფესიონალების ჩამოყალიბების და

ორგანიზაციის წევრებთან ურთიერთობის გაფართოების საქმეში.

პატივისცემით,

ლია გოგსაძე

შპს„ ლ.გ. აუდიტორული კომპანია
მისამართი: კანდელაკის ქ. № 6, თბილისი, საქართველო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405162103
**Tel:** 555326000; 514032211

**LTD "L.G. AUDIT COMPANY"**
Address: 6 Kandelaki ST, Tbilisi, Georgia
Identification number: 405162103
**Tel:** 555326000; 514032211

№ 3 21 დეკემბერი 2022 წელი

# სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრების დელეგატებს**

შპს ,,ლ.გ. აუდიტორული კომპანია" რეკომენდაციას უწევს ამავე კომპანიის დირექტორს და აუდიტორს ლია გოგსაძეს (პ/ნ 01027000078) ,, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" (ბაფის) გამგეობის წევრობის კანდიდატად წარსადგენად.

ლია გოგსაძე არის შპს ,,ლ.გ. აუდიტორული კომპანიის" დირექტორი და პროფესიონალი ბუღალტერი . მას აქვს 20 წელზე მეტი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება. მისი წარმატება განპირობებულია პიროვნული თვისებებით, მუდმივად ზრუნავს საკუთარი თავის განვითარებაზე და კოლეგების დახმარებაზე.

ლია გოგსაძე არის კომუნიკაბელური, შრომისმოყვარე, მოწესრიგებული და ყურადღებიანი ხელმძღვანელი. იგი მუშაობს გუნდური მუშაობის პრინციპით და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა დაკისრებულ მოვალეობას.

ზემოთ აღნიშნულისა და ჩემი ღრმა რწმენის საფუძველზე, შპს ლ.გ. აუდიტორული კომპანიის სახელით რეკომენდაციას ვუწევ ლია გოგსაძეს საერთო კრების დელეგატების წინაშე, ბაფის გამგეობის წევრად ასარჩევად და მწამს, რომ უდავოდ სწორ არჩევანს გააკეთებთ.

პატივისცემით,

მედეა კევლიშვილი

მთავარი ბუღალტერი
(პ/ნ 01017034565)